

დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 15
ივნისის N44 ბრძანებით

ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯი „განთიადის“ ხანძარსაწინააღმდეგო
უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადი“ (შემდგომში - კოლეჯი) უსაფრთხოების წესები (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს და არეგულირებს კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურებს.

მუხლი 2. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

1. კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება.

2. კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ცეხლმაქრი ბალონები.

3. კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორისა და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად აწვდის ინფორმაციას შესაბამის სამსახურს სატელეფონო ნომრით-112

4. კოლეჯის სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დადგენილი წესით პასუხისმგებელი პირი, აგრეთვე კოლეჯის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები ვალდებული არიან:

ა) შეატყობინონ ხანძრის გაჩენის შესახებ სახანძრო სამსახურსა და კოლეჯის ხელმძღვანელობას;

ბ) არსებული ძალებისა და საშუალებების გამოყენებით მიიღონ ზომები თანამშრომელთა (სტუდენტთა) და ქონების გადასარჩენად.

გ) პერიოდულად შეამოწმოს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის მუშაონარიანობა.

დ) საჭიროების შემთხვევაში გამორთონ ელექტროენერგია გადაკეტონ გაზის, წყლის კომუნიკაციები. განახორციელონ სხვა ღონისძიებები რომელიც ხელს შეუწყობს შენობაში ხანძრის გავრცელების ან დაკვამლიანების თავიდან აცილებას.

ე) შეწყვიტონ შენობაში ყველა სამუშაო, გადრა სამუშაოებისა რომლებიც დაკავშირებულია ხანძრის ლიკვიდაციასთან

ვ) გაიყვანონ საშიში ზონის გარეთ ყველა თანამშრომელი და სტუდენტი რომელიც არ მონაწილეობს ხანძრის ჩაქრობაში. ორგანიზება გაუწიონ მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაციას და დაცვას;

ზ) სახანძრო დანაყოფის მისვლისთანავე მიაწოდონ ინფორმაცია ობიექტის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური თავისებურებების, მომიჯნავე შენობების და ნაგებობების შესახებ, შენახული ნივთიერებების, მასალების ხანძარსაშიშ თავისებებზე და ხანძრის წარმატებით ლიკვიდაციისთვის საჭირო სხვა მონაცემებზე;

თ) ორგანიზება გაუწიონ სახანძრო დაცვის დანაყოფების შეხვედრას მათთვის დახმარებას ხანძრის კერასთან მისასვლელი უმოკლესი გზების შერჩევაში;

ი) უზრუნველყონ ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეთა მიერ უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვას;

კ) სახანძრო დანაყოფის მოსვლამდე განახორციელონ ხანძრის ჩაქრობის საერთო ხელმძღვანელობა;

ლ) გამართულ მდგომარეობაში იქონიონ ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები და არ დაუშვან მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება;

მ) განახორციელოს კონტროლი რათა მეცადინეობის დამთავრებისას კაბინეტებში, სახელოსნოები და ლაბორატორიებში ყველა ფეთქებადი და ადვილად აალებადი სითხეები შენახულ იქნას სპეციალურად მოწყობილ სათავსოში

5. კოლეჯის თითოეული თანამშრომელი (სტუდენტი) ვალდებულია:

ა) დაიცვან ხანძარსაწინააღმდეგო წესები და შეასრულონ სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებები

ბ) დაუყონებლივ შეატყობინოს სახანძრო დანაყოფს, ხანძრის ან წვის ნიშნების აღმოჩენის (დაკვამლიანობის, დამწვრის სუნის და ა.შ) შემთხვევაში (ასევე დაასახელოს ობიექტის მისამართი, ხანძრის გაჩენის ადგილი, თავისი სახელი და გვარი)

გ) მონაწილეობა მიიღონ მატერიალური ფასეულობათა გადარჩენასა და ხანძრის ჩაქრობაში

დ) დაიცვან უსაფრთხოების ზომები ადვილად აალებადი სითხეების, ხანძარსაშიში ნივთიერებების, მასალებისა და მოწყობილობების გამოყენებითი სამუშაოების შესრულებისას.

მუხლი 3. დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.